საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო

# სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

CPC

2017
წელი


საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

LAND TRANSPORT AGENCY

CPC მენეჯერების მოსამზადებელი ტრეინინგები
სატვირთო გადაზიდვებში

# სამართალი

ვერსია 1.0

2017 წელი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

LAND TRANSPORT AGENCY WWW.LTA.GOV.GE

# სარჩევი:


შესავალი

1. **სეგმენტი 1. ტრანსპორტის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა და საერთაშორისო პარტნიორები/ორგანიზაციები**
   1.1. ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ტრანსპორტის სფეროში
      1.1.1. საკანონმდებლო სამართლებრივი აქტები
      1.1.2. კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები
   1.2. საერთაშორისო კანონმდებლობა ტრანსპორტის სფეროში
      1.2.1. ორმხრივი შეთანხმებები
      1.2.2. მრავალმხრივი შეთანხმებები
   1.3. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის
      1.3.1. ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივები
      1.3.2. ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგლამენტები
   1.4. ტრანსპორტის სფეროში მოქმედი საერთაშორისო პარტნიორები/საერთაშორისო ორგანიზაციები
      1.4.1. საეთაშორისო ტრანსპორტის ფორუმი (ITF)
      1.4.2. სავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (IRU)
      1.4.3. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE)
      1.4.4. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცი (BSEC)
      1.4.5. ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის სამთავრობათაშორისო კომისია (TRACECA)
      1.4.6. სატვირთო გადამზიდავების (ექსპედიტორების) ასოციაციის საერთაშორისო ფედერაცია (FIATA)
      1.4.7. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)
      1.4.8. ევროპის კავშირი (EU)
2. **სეგმენტი: 2 სამოქალაქო სამართალი**
   2.1. სამოქალაქო სამართლის შესავალი დებულებანი
   2.2. სამოქალაქო სამართლის პირები
      2.2.1. ფიზიკური პირები
      2.2.2. იურიდიული პირები
   2.3. გარიგებანი, გარიგების ფორმა
   2.4. ქონების ცნება, მფლობელობა
   2.5. საკუთრება, საკუთრების ფორმა
   2.6. სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი პირველი
      2.6.1. სახელშეკრულებო სამართალი, ხელშეკრულების დადება
      2.6.2. სახელშეკრულებო სამართალი, ოფერტის გაკეთება
      2.6.3. სახელშეკრულებო სამართალი, აქცეპტი
      2.6.4. სახელშეკრულებო სამართალი, სტანდარტული პირობები
      2.6.5. სახელშეკრულებო სამართალი, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება
      2.6.6. სახელშეკრულებო სამართალი, ხელშეკრულებიდან გასვლა
      2.6.7. სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების შესრულება
      2.6.8. სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების დარღვევა
      2.6.9. სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს
      2.6.10. სახელშეკრულებო სამართალი, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა
      2.6.11. სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების შეწყვეტა
   2.7. სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი მეორე
      2.7.1. სახელშეკრულებო სამართალი, ნასყიდობა
      2.7.2. სახელშეკრულებო სამართალი, ქირავნობა
      2.7.3. სახელშეკრულებო სამართალი, ლიზინგი
      2.7.4. სახელშეკრულებო სამართალი, იჯარა
      2.7.5. სახელშეკრულებო სამართალი, ფრენშაიზინგი
   2.8. გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, გადაზიდვის ხელშეკრულება
      2.8.1. გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა
      2.8.2. გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ზედნადების შედგენის წესი
      2.8.3. გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ზედნადების რეკვიზიტები

2.8.4. გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები
2.8.5. გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა
2.8.6. გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, გირავნობის უფლება ტვირთზე
2.9. გადამზიდველის პასუხისმგებლობა
2.9.1.გადამზიდველის ვალდებულება ტვირთის მიღებისას
2.9.2.ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება
2.9.3.ტვირთის დაკარგვის პრეზუმფცია
2.9.4.დანამატის მიღების მოთხოვნის უფლება
2.9.5.საფრთხეშემცველი ტვირთის გაგზავნის წესი
2.9.6.ტვირთის ღირებულება ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისას
2.10. გამგზავნის პასუხისმგებლობა
2.10.1. გამგზავნის პასუხისმგებლობა ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის
2.10.2. გამგზავნის მიერ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
2.10.3. გამგზავნის უფლებები
2.10.4. გამგზავნის მითითებათა საფუძველზე წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების უფლება
2.11. მიმღების უფლებები
2.12. ზიანის ანაზღაურება ტვირთის დაზიანებისას
2.13. განსაკუთრებული დაინტერესების აღნიშვნა ზედნადებში
2.14. პროცენტის მოთხოვნა უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე
2.15. არასახელშეკრულებო მოთხოვნები გადაზიდვებისას
2.16. პასუხისმგებლობისაგან გადამზიდველის განთავისუფლების დაუშვებლობა
2.17. რეკლამაცია (პრეტენზია) და სარჩელი
2.18. გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა
2.19. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება
2.20. გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ, პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვების შემთხვევაში
2.20.1. სათანადო საბუთების გადაცემის ვალდებულება
2.20.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველებისაგან
2.20.3. რეგრესის უფლება ზიანის ანაზღაურებისას
2.20.4. გადამზიდველის გადახდისუუნარობის შედეგები
2.20.5. კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ბათილობა
2.21. დავალება
2.22. სატრანსპორტო ექსპედიცია
2.22.1. შემკვეთის მოვალეობანი
2.22.2. ტვირთის ცალობრივი შემოწმება
2.22.3. ტვირთის დაზღვევის მოვალეობა
2.22.4. ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება
2.22.5. ზიანის დროულად შეტყობინების მოვალეობა
2.22.6. ტვირთის მიუღებლობის შედეგები
2.22.7. ტვირთის მდგომარეობის შემოწმების შეუძლებლობა მისი მიღებისას
2.22.8. ექსპედიტორის პასუხისმგებლობა
2.22.9. ექსპედიტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება
2.22.10. პროვიზიის გადახდის წესი

**3. სეგმენტი: 3 სავაჭრო სამართალი**

3.1. სამეწარმეო საქმიანობა
3.2. მეწარმე სუბიექტები
3.2.1. ინდივიდუალური მეწარმე
3.2.2. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
3.2.3. კომანდიტური საზოგადოება (კს)
3.2.4. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
3.2.5. სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)
3.2.6. კოოპერატივი
3.3. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია
3.4. მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები
3.5. პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები
3.6. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია
3.7. საწარმოს რედომიცილება

3.8. საწარმოს ფილიალი
3.9. საფირმო სახელწოდება
3.10. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის საჯაროობა
3.11. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა
3.12. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება
3.13. იურიდიული პირის ლიკვიდაცია სასამართლო განაჩენის საფუძველზე
3.14. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება
3.15. საწარმოს რეორგანიზაცია
3.16. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება
3.17. გაკოტრება

**4. სეგმენტი: 4 სოციალური სამართალი**

4.1. შრომითი ურთიერთობა
4.2. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები
4.3. შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობა
4.4. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე
4.5. შრომითი ხელშეკრულების დადება
4.6. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა
4.7. შრომითი ხელშეკრულების დადების შეზღუდვა შეთავსებით სამუშაოზე და გამოსაცდელი ვადა
4.8. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა
4.9. მივლინება
4.10. შრომის შინაგანაწესი
4.11. სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო
4.12. შვებულება
4.13. შრომის ანაზღაურება
4.14. შრომის პირობების დაცვა
4.15. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა
4.16. გაერთიანების თავისუფლება
    4.16.1. პროფესიული კავშირების, პროფესიული კავშირების გაერთიანებების (ასოციაციების) შექმნის უფლება
    4.16.2. პროფესიული კავშირის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები
    4.16.3. პროფესიული კავშირის წესდება, მისი რეგისტრაცია, იურიდიული პირის სტატუსი
    4.16.4. პროფესიული კავშირის ძირითადი უფლებები
    4.16.5. პროფესიული კავშირების უფლებათა გარანტიები
    4.16.6. პროფესიული კავშირის უფლებათა დაცვა და პასუხისმგებლობა
4.17. დისკრიმინაციის აკრძალვა
4.18. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების საქმიანობაში ჩარევის აკრძალვა
4.19. კოლექტიური შრომითი ურთიერთობა
4.20. პასუხისმგებლობა და დავა
4.21. გაფიცვა და ლოკაუტი
4.22. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის დირექტივა 2006/22/EC
4.23. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 11 მარტის დირექტივა 2002/15/EC
4.24. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/59/EC დირექტივა

# შესავალი

სამართლიანი კონკურენციის პირობებით საავტომობილო გადაზიდვების შიდა ბაზრის მოწყობის პროცესის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელია ტვირთის გადამზიდავი ოპერატორების საქმიანობის განხორციელება წესების ერთგვაროვანი გამოყენების გზით. სახელმწიფოში, სატრანსპორტო ბაზარზე საქმიანობის გამნახორციელებელი ოპერატორების მიერ წესების თანმიმდევრული დაცვა იძლევა იმის გარანტიას, რომ აღნიშნული ოპერატორები ეფექტურად და სტაბილურად განახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას, რაც განაპირობებს როგორც მათ წარმატებას ასევე, სახელმწიფოს წარმატებას აღნიშნულ სფეროში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანესია სათანადო რეპუტაციის მქონე კომპეტენტური ფიზიკური პირების იდენტიფიკაცია და აღნიშნულ უფლებამოსილ ორგანოებში დანიშვნა. ასეთი პირები, სატრანსპორტო მენეჯერები, უფმელობამოსილნი არიან ეფექტურად და უწყვეტად მართონ საავტომობილო გადაზიდვების სფეროში მომუშავე საწარმოების საქმიანობა. საქმიანობის მართვისას კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათ მიერ იმ სამართლებრივი საკითხების საბაზისო ცოდნას რომელიც მოცემულია სამართლებრივი საკითხების მოდულში, სახელდობრ, მენეჯერები უნდა ფლობდნენ ტრანსპორტის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ცოდნას, რაც მოიცავს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებების ცოდნას.

მენეჯერებს უნდა შეეძლოთ მოლაპარაკებების წარმოება იურიდიული ძალის მქონე სატრანსპორტო ხელშეკრულებებზე, გადაზიდვების პირობებთან დაკავშირებით, ამისათვის კი მათ უნდა გააჩნდეთ საბაზისო სწავლება საავტომობილო გადაზიდვებში გამოყენებული ხელშეკრულებების ძირითად ტიპებისა და აღნიშნულის საფუძველზე წარმოშობილ უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ და ასევე ტრანსპორტირებისას ტვირთის დაზიანების ან ტვირთის დაგვიანებით მიწოდების შედეგად მიყენებული ზიანის ან ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედებს აღნიშნული პრეტენზია მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

მენეჯერი, რომელიც საქმიანობის ფირმის სახელით, ვალდებულია ასევე, ფლობდეს ცოდნას სატრანსპორტო სანარმოების მიერ სხვადასხვა კატეგორიის დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მარეგულირებელი წესების, ხელშეკრულების ფორმების, მხარეების ვალდებულებების, სამუშაო პირობებისა და სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესახებ.

მენეჯერს ასევე მოეთხოვება კომერციული საწარმოების სხვადასხვა ფორმების, ასევე მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების წესების შესახებ ცოდნა, რაც მოიცავს საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორებზე დაკისრებულ ვალდებულებების, საწარმოს რეგისტრაცის, საქმის წარმოებისა და გადახდისუუნარობის წარმოების შედეგების თაობაზე ინფორმირებულობას.

სამართლებრივი მოდული მიზნად ისახავს პროფესიული კომპეტენციის მქონე მენეჯერების კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო ზემო აღნიშნული სამართლებრივი საკითხების ცოდნის გადაცემა-გაზიარებას ტრანსპორტის მენეჯერებისათვის, რათა მათ შეძლონ კანონმდებლობის თანმიმდევრული დაცვით ტრანსპორტის სფეროში დასაქმებული ოპერატორების ინტერესების გატარება.

## *სეგმენტი 1. ტრანსპორტის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა და საერთაშორისო პარტნიორები/ორგანიზაციები*

ტვირთის გადამზიდავი ოპერატორის საქმიანობის განსახორციელებლად მენეჯერები უნდა ფლობდნენ ცოდნას ტრანსპორტის სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, რაც მოიცავს:

- საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების ცოდნას
- საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებების ცოდნას რომლის წევრიც არის საქართველო
- ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ტრანსპორტის სფეროში გათვალისწინებულ ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივებისა და რეგლამენტების ცოდნას

## 1.1. ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ტრანსპორტის სფეროში




### 1.1.1. საკანონმდებლო სამართლებრივი აქტები

1.1.1.1. საქართველოს კანონი საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ

1.1.1.2. საქართველოს კანონი ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ

1.1.1.3. საქართველოს კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ

1.1.1.4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

### 1.1.2. კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები

1.1.2.1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №407 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „საერთაშორისო გადაზიდვების მწარმოებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა შრომისა და დასვენების რეჟიმების "დამტკიცების შესახებ

1.1.2.2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის პარამეტრების აღმრიცხველი საკონტროლო მოწყობილობების (ტაქოგრაფების) ექსპლუატაციის წესის" დამტკიცების შესახებ

1.1.2.3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესისა და პირობების" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №4 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.5. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №6 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდული ტესტირების ფირნიშების ფორმისა და დამზადების წესის" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.6. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №11 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „მოთხოვნები ინდივიდუალური წესით დამზადებული (თვითნაკეთი) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ" დამტკიცების თაობაზე.

1.1.2.7. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №12 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერვისის წესის" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.8. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №29 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „სატვირთო ავტომობილებისა და მისაბმელებისათვის ECMT-ს ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობისა და გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატების გაცემისა და გამოყენების წესის" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.9. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №30 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები, რომლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნითაც ტარდება გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება და მისი ჩატარების მეთოდების" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.10. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №32 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.11. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №36 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესების" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.12. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობის" დამტკიცების თაობაზე

1.1.2.13. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 აგვისტოს დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „გარკვეული კატეგორიის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღუდველი მოწყობილობის მონტაჟისა და გამოყენების შესახებ" დამტკიცების თაობაზე.

## 1.2. საერთაშორისო კანონმდებლობა ტრანსპორტის სფეროში

### 1.2.1. ორმხრივი შეთანხმებები

1.2.1.1. 25 აპრილი 2006 შეთანხმება საქველოს მთავრობართასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.2. 18 აპრილი 2001 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის საერთაშორისო სამგზავრო და სატვირთო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ

1.2.1.3. 5 ივლისი 2000 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლატვიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილი მიმოსვლის შესახებ

1.2.1.4. 10 აპრილი 1997 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.5. 18 თებერვალი 1997 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამგზავრო საავტომობილო მიმოსვლის განვითარების შესახებ

1.2.1.6. 12 აპრილი 1996 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.7. 26 მარტი 1996 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და **რუმინეთის** მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.8. 4 სექტემბერი 1995 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და **უზბეკეთის** რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.9. 3 თებერვალი 1994 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და **რუსეთის** ფედერაციის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.10. 17 აგვისტო 1993 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და **თურქმენეთის** მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.11. 25 ივნისი 1993 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.12. 6 მარტი 2007 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და **ყაზახეთის** რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.13. 13 აპრილი 1993 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და **უკრაინის** მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.14. 20 იანვარი 1993 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და **ირანის** ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ

1.2.1.15. 19 იანვარი 1995 შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ

1.2.1.16. 22 აპრილი 1997 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.17. 9 მარტი 2002. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელგიის სამეფოს მთავრობას შორის საგზაო გადაზიდვების შესახებ

1.2.1.18. 31 ოქტომბერი 2002 შეთანხმება საქართველოსა და ნიდერნალდების სამეფოს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ

1.2.1.19. 7 მარტი 2002 შეთანხმება `საქართველოს მთავრობასა და ბელორუსიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.20. 15 მაისი 1997 შეთანხმება `საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრთა და ტვირთის საერთაშორისო ტრანსპორტირების ერთობლივად მოწესრიგების შესახებ

1.2.1.21. 30 ივლისი 1992 ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.22. 11 ივლისი 2012 შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.23. 30 სექტემბერი 2013. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და **უნგრეთის** მთავრობას შორის სახმელეთო გზებით მგზავრებისა და ტვირთის საერთაშორისო ტრანსპორტირების შესახებ

1.2.1.24. 6 ივლისი 2014. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და **პოლონეთის** რესპუბლიკის მთავრობას შორისსაერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ

1.2.1.25. 13 ნოემბერი 1997 შეთანხმება "საქართველოს მთავრობასა და **დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს** მთავრობას შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ" **(არ არის რატიფიცირებული საქართველოს მიერ)**

1.2.1.26. 21 სექტემბერი 2012. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და **იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს** მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთის საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტირების შესახებ **(არ არის რატიფიცირებული მხარეთა მიერ)**

### 1.2.2. მრავალმხრივი შეთანხმებები

1.2.2.1. ევროპის შეთანხმება საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ (AETR)



1.2.2.2. 19 სექტემბერი 1949 მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება კონვენცია საგზაო მოძრაობის შესახებ

1.2.2.3. 8 ნოემბერი 1968 მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება კონვენცია საგზაო ნიშნებისა და სიგნალების შესახებ

1.2.2.4. 14 ნოემბერი 1975 მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება კონვენცია ტირის საბაჟო კონვენცია საბაჟო ნიგნაკის გამოყენებით

1.2.2.5. თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუტი ბარსელონა, 20 აპრილი 1921 წელი

1.2.2.6. კონტეინერებთან დაკავშირებული საბაჟო კონვენცია 2 დეკემბერი 1972 წელი

1.2.2.7. 1956 წლის 19 მაისის კონვენცია ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების ხელშეკრულების შესახებ

1.2.2.8. 14 ივნისი 1983 საერთაშორისო კონვენცია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ

1.2.2.9. 8 სექტემბერი 1998 წელი შეთანხმება საერთაშორისო ტრანსპორტის შესახებ ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარებისთვის

1.2.2.10. 2 დეკემბერი 1972 წელი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება კონვენცია კონტეინერების უსაფრთხოებაზე

1.2.2.11. 15 ნოემბერი 1975 წელი ევროპის შეთანხმება საერთაშორისო ავტომაგისტრალების შესახებ

1.2.2.12. 1 თებერვალი 1991 წელი ევროპის შეთანხმება კომბინირებული გადაზიდვების შესახებ

1.2.2.13. 1 სექტემბერი 1971 შეთანხმება მალფუჭებადი საკვები პროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვებისა და ამ გადაზიდვებისათვის განკუთვნილი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების შესახებ

1.2.2.14. 17 ოქტომბერი 1953 ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის ოქმი

1.2.2.15. 22 მარტი 1989 სახიფათო ნარჩენების ტრანსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ

1.2.2.16. 8 ივლისი 1965 კონვენცია იმ სახელმწიფოთა სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ, რომელთაც არა აქვთ გასასვლელი ზღვაზე

1.2.2.17. 30 სექტემბერი 1957 ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ

## 1.3. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის

### 1.3.1. ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივები

1.3.1.1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 6 ივნისის დირექტივა 2000/30/EC ევროპული გაერთიანების ტერიტორიაზე მოძრავი კომერციული სატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის დადგენის მიზნით განხორციელებული გზებზე შემოწმებების შესახებ

1.3.1.2. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის 2007/46/EC დირექტივა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების და მათი მისაბმელების, ასევე აღნიშნული ტიპის სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილი სისტემების, კომპონენტებისა და ცალკეული ტექნიკური დეტალის დამტკიცების პროცედურის შესახებ

1.3.1.3. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 24 სექტემბრის დირექტივა 2008/68/EC სახიფათო ტვირთების შიდა გადაზიდვების შესახებ




1.3.1.4. საბჭოს 1992 წლის 10 თებერვლის დირექტივა 92/6/EEC ევროპული გაერთიანების ფარგლებში გარკვეული კატეგორიის ძრავიან სატრანსპორტო საშუალებებში სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობების მონტაჟისა და გამოყენების შესახებ

1.3.1.5. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1996 წლის 25 ივლისის დირექტივა 96/53/EC ევროპული გაერთიანების ფარგლებში მოძრავი გარკვეული ტიპის სატრანსპორტო საშუალებებისთვის ეროვნული და საერთაშორისო გადაზიდვების დროს მაქსიმალურად დასაშვები გაბარიტების და საერთაშორისო გადაზიდვების დროს მაქსიმალურად დასაშვები წონის განსაზღვრის შესახებ

1.3.1.6. ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 17 ივნისის დირექტივა 1999/62/EC **გარკვეული ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის მძიმე ტვირთის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებების დაბეგვრის შესახებ**

1.3.1.7. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 11 მარტის დირექტივა 2002/15/EC **საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი პირების სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ**




1.3.1.8. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 15 ივლისის დირექტივა 2003/59/EC ტვირთის გადაზიდვის ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების **მძღოლების საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების შესახებ**, რომელიც ცვლის საბჭოს (EEC) #3820/85 რეგლამენტსა და საბჭოს 91/439/EEC დირექტივას და აუქმებს საბჭოს 76/914/EEC დირექტივას .

1.3.1.9. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის დირექტივა 2006/22/EC **ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქმიანობასთან დაკავშირებულ სოციალურ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ** საბჭოს (EEC) #3820/85 და (EEC) #3821/85 რეგლამენტების სისრულეში მოყვანის მინიმალური პირობებისა და საბჭოს 88/599/EEC დირექტივის გაუქმების შესახებ

1.3.1.10. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის დირექტივა 2009/40/EC **ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ**

### 1.3.2. ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგლამენტები

1.3.2.1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 14 ივნისის რეგლამენტი (EC) #1013/2006 **ნარჩენების გადაზიდვის შესახებ**

1.3.2.2. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EU) № 1072/2009 რეგლამენტი **სატვირთო გადაზიდვების საერთაშორისო ბაზარზე დაშვების ზოგადი წესების შესახებ**

1.3.2.3. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EU) #1073/2009 რეგლამენტი **საავტობუსო მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე დაშვების** ზოგადი წესების და (EU) # 561/2006 რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ



1.3.2.4. ევროსაბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის #3821/85 რეგლამენტი **საკონტროლო მოწყობილობის შესახებ საგზაო ტრანსპორტის სფეროში**

1.3.2.5. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის რეგლამენტი (EC) №561/2006 საგზაო **გადაზიდვებთან დაკავშირებული განსაზღვრული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ**, რომლის მიხედვითაც შედის ცვლილებები საბჭოს რეგლამენტებში (EEC) №3821/85 და (EC) №2135/98

1.3.2.6. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 21 ოქტომბრის (EC) №1071/2009 რეგლამენტი **საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორის საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ პირობებთან დაკავშირებული საერთო წესების განსაზღვრისა** და საბჭოს 96/26/EC დირექტივის გაუქმების შესახებ

## 1.4. ტრანსპორტის სფეროში მოქმედი საერთაშორისო პარტნიორები/საერთაშორისო ორგანიზაციები

1.4.1. საეთაშორისო ტრანსპორტის ფორუმი (ITF)

1.4.2. სავტომობილო ტრანსპორტის საერთაშორისო კავშირი (IRU)

1.4.3. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE)

1.4.4. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცი (BSEC)




1.4.5. ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის განვითარების საერთაშორისო ტრანსპორტის სამთავრობათაშორისო კომისია (TRACECA)

### 1.4.6. სატვირთო გადამზიდავების (ექსპედიტორების) ასოციაციის საერთაშორისო ფედერაცია (FIATA)

### 1.4.7. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)

### 1.4.8. ევროპის კავშირი (EU)

# სეგმენტი: 2 სამოქალაქო სამართალი

**<u>კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახი (Civil Law)</u>**

სამართლებრივი სისტემა რომელიც ჩამოყალიბდა რომაული სამართლის ტრადიციების საფუძველსა და გაზაზე, სამართლის წყაროს წარმოადგენს პოზიტიური (დაწერილი), კოდიფიცირებული კანონმდებლობა, განსხვავებით ანგლო-ამერიკულ სამართალისაგან, სადაც სამართლის წყაროს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი (პრეცედენტული სამართალი) და ისტორიული ჩვეულებები

**<u>ანგლო-ამერიკული სამართალის ოჯახი (Common Law)</u>**

ანგლო-ამერიკული სამართლის წყაროებს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი (Case Law) და კანონის სამართალი (Statute Law), ასევე ჩვეულებითი სამართალი (Customary law) ანგლო-ამერიკულ სამართალს ასევე ახასიათებს აზროვნების სამოსამართლო სტილი




მენეჯერი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვის სფეროში:

- უნდა იცნობდეს საავტომობილო გადაზიდვებში გამოყენებული ხელშეკრულებების ძირითად ტიპებს და აღნიშნულის საფუძველზე წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებს
- უნდა შეეძლოს მოლაპარაკებების წარმოება იურიდიული ძალის მქონე სატრანსპორტო ხელშეკრულებებზე, გადაზიდვების პირობებთან დაკავშირებით
- უნდა შეეძლოს ტრანსპორტირებისას ტვირთის დაზიანების ან ტვირთის დაგვიანებით მიწოდების შედეგად მიყენებული ზიანის ან ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვა და იმ ფაქტის განსაზღვრა, თუ როგორ იმოქმედებს აღნიშნული პრეტენზია მის სახელშეკრულებო ვალდებულებებზე
- უნდა იცნობდეს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების შესახებ ხელშეკრულებების მარეგულირებელ კონვენციასთან დაკავშირებულ წესებსა და ვალდებულებებს

## 2.1 სამოქალაქო სამართლის შესავალი დებულებანი

***კერძო სამართლის ობიექტები***

ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც ბრუნვიდან არ არის ამოღებული

***კერძო სამართლის სუბიექტები***

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი

## 2.2 სამოქალაქო სამართლის პირები

ფიზიკური პირები

უფლებაუნარიანობა

ქმედუნარიანობა

შეზღუდული ქმედუნარიანობა

იურიდიული პირი

განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს საკუთარი სახელით, იძენს უფლებებსა და მოვალეობებს დებს გარიგებებს შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ

### 2.2.1. ფიზიკური პირები

- **უფლებაუნარიანი** - *ფიზიკური პირი რომელსაც აქვს უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოშობილი დაბადების მომენტიდან*

  *უფლებაუნარიანობა წყდება გარდაცვალებით*

- **ქმედუნარიანი** - *ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რომელიც წარმოიშობა სრულწლოვანების მიღებისთანავე*

  *სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია*

  *ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკამდე იქორწინა*

- **შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე** - *არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე*

### 2.2.2. იურიდიული პირები

- იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ
- იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას

### 2.2.3. იურიდიული პირები

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა
- კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული

ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე
აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან
იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან
იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი
ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი

## 2.3. <u>გარიგებანი, გარიგების ფორმა</u>

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ
ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა
ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან

ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს
ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა

გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი
*<u>გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით</u>*
გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით
გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა

წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა

იმ პირს, რომელიც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის გამო ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს

ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა

## 2.4. ქონების ცნება, მფლობელობა

**ქონება** - ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს

**მობრავი ან უძრავი**

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით,მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე

მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით

მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან

მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი

თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად

თუ ერთ ნივთს რამდენიმე პირი ერთობლივად ფლობს, ისინი ითვლებიან თანამფლობელებად

თუ ერთი ნივთის ნაწილებს რამდენიმე პირი ფლობს, ისინი ითვლებიან ცალკეული ნაწილების მფლობელებად

***კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს***

***ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე***

## 2.5 საკუთრება, საკუთრების ფორმა

მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით)
არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა
განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას

სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით
კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს
ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში
მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება

## 2.6 სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი პირველი

კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი
მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც,რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის,მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას

### 2.6.1 სახელშეკრულებო სამართალი, ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით
არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ



თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ
თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით
ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა

### 2.6.2 სახელშეკრულებო სამართალი, ოფერტის გაკეთება

**ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი)**
ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის)შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება

წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული

თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული
არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს
თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში

### 2.6.3 სახელშეკრულებო სამართალი, აქცეპტი

**თუ ოფერენტს აქცეპტი დაგვიანებით მიუვა**
აქცეპტიდან კი ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი
აქცეპტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დაგვიანებულად თუ ოფერენტმა მეორე მხარეს დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ

**თუ ოფერენტს აქცეპტი დაგვიანებით მიუვა**
**ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად**
<u>როცა პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობებით, ვიდრე ამას ოფერტი ითვალისწინებდა, ასეთი პასუხი ჩაითვლება უარად ოფერტზე და, ამავე დროს, - ახალ წინადადებად</u>

**თუ საქმიან ურთიერთობებში აქცეპტი ხორციელდება შეცვლილი პირობებით**
ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინათვე არ განაცხადებს უარს

*თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას*
*მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად*
*იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მეწარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად*

### 2.6.4 სახელშეკრულებო სამართალი, სტანდარტული პირობები



ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვლელი წესების დადგენა
უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით

*ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა მათ შემთავაზებელსა და ხელშეკრულების მეორე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როცა:*

- *<u>შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერას გააკეთებს და მიუთითებს ამ პირობებზე</u>*

*<u>და</u>*

- *<u>ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და, თუ თანახმაა, მიიღოს ეს პირობები</u>*

*თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის მეწარმე, ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად იქცევა მაშინ, როცა მას საქმიან ურთიერთობებში აუცილებელი გულისხმიერების გამოჩენისას ეს უნდა გაეთვალისწინებინა*

### 2.6.5 სახელშეკრულებო სამართალი, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს

თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს

### 2.6.6 სახელშეკრულებო სამართალი, ხელშეკრულებიდან გასვლა

თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ

თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება

თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დარღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი

**არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:**

- აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება
- ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას
- განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა

თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ზემოაღნიშნული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ **(ნატურით დაბრუნება)**

ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ:

- შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება
- მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს
- მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა, სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება

თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო სამაგიერო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით

**ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:**

- საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა
- საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა
- საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს, ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს

### 2.6.7 სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების შესრულება

ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას

**ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას**

თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს,მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

- **ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში** - იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა
- **გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში** - იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ - მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით
-

### 2.6.8 სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების დარღვევა

მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი დრო

თუკი მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება

დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება, ან როცა არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას

### 2.6.9 სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს

თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ

თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება

თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი

**არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:**

- აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება
- ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას
- განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა

### 2.6.10 სახელშეკრულებო სამართალი, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება

- თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები,დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი

**ყოველთვიური სარჩოს გადახდით**

- დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება
- სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი
- თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება

### 2.6.11 სახელშეკრულებო სამართალი, ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება)

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას

კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი

- ➢ ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა
- ➢ თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში,ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე

**ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას**

## 2.7 სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი მეორე

კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი

მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც,რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას

**თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს შესაბამისი კანონით**

### 2.7.1 სახელშეკრულებო სამართალი, ნასყიდობა

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი

მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება

- ➢ თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე

***გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები, ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები - მყიდველს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული***

- ➢ თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გამყიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი
- ➢ თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებისათვის
- ➢ თუ გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მას მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან
- ➢ თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს

**გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი**

**ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა**

**თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის**

**ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე**

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო

უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება

### 2.7.2 სახელშეკრულებო სამართალი, ქირავნობა

- ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით
- დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა
- გამქირავებელი მოვალეა გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა

- გამქირავებელმა უნდა გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი
- გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა,თუ მესამე პირს არ შეუძლია წაუყენოს დამქირავებელს მოთხოვნები ამ ნივთის გამო
- გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს დათქმული თვისებები
- თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის

### 2.7.3 სახელშეკრულებო სამართალი, ლიზინგი

- ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს სარგებლობაში გადასცეს განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით
- ლიზინგით გაცემული ქონება ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას განმეორებით შეიძლება გაიცეს ლიზინგით
- ლიზინგის საგანი არ შეიძლება იყოს ფული, ფასიანი ქაღალდი, წილი ან პაი სამეწარმეო საზოგადოებაში

### 2.7.4 სახელშეკრულებო სამართალი, იჯარა

- იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა
- საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით

### 2.7.5 სახელშეკრულებო სამართალი, ფრენშაიზინგი

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას

## 2.8 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, გადაზიდვის ხელშეკრულება

გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე

*ჰირი, რომელიც საჯაროდ სთავაზობს ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანას,ვალდებულია დადოს გადაყვანა-გადაზიდვის ხელშეკრულება, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი*

გადამზიდველის პასუხისმგებლობა:

- გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის
- პასუხისმგებლობა არ დადგება, თუკი ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბარგით
- **გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს ხელშეკრულებით**

### 2.8.1 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, გადაზიდვის ხელშეკრულების ფორმა

გადაზიდვის ხელშეკრულება ფორმდება ზედნადების (ან სხვა დოკუმენტის) სახით
ზედნადების არარსებობის, მისი ხარვეზის ან დაკარგვის მიუხედავად, გადაზიდვის ხელშეკრულების შინაარსი და ნამდვილობა განისაზღვრება სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად

### 2.8.2 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ზედნადების შედგენის წესი

ზედნადები დგება სამ ცალად, რომელთაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი



- *პირველი პირი რჩება გამგზავნს*
- *მეორე თან ერთვის ტვირთს*
- *მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი*

**თუ გადასაზიდი ტვირთი ნაწილდება რამდენიმე ტრანსპორტზე, ან საქმე ეხება სხვადასხვა სახის ანდა ცალკეულ პარტიებად დაყოფილ ტვირთს, როგორც გამგზავნს, ასევე გადამზიდველს შეუძლიათ მოითხოვონ იმდენი ზედნადების შედგენა, რამდენი ტრანსპორტიც ან ტვირთის სახეობაა**

### 2.8.3 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ზედნადების რეკვიზიტები

ზედნადები **უნდა** შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- გაცემის დღესა და ადგილს
- გამგზავნის სახელსა და მისამართს
- გადამზიდველის სახელსა და მისამართს
- ტვირთის გადაცემის დღესა და ადგილს, ასევე ტვირთის მიტანის ადგილს
- მიმღების სახელსა და მისამართს
- ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხეშემცველი ტვირთების დროს, მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას
- გადასაზიდი ტვირთების რაოდენობას, ნიშნებსა და ნომრებს
- ტვირთის წონას ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას
- გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (გადაზიდვის ფასს, დამატებით ხარჯებს, იმპორტის გადასახადებს და სხვა ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა ხელშეკრულების დადებიდან ტვირთის მიტანამდე)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აღნიშვნებს
- აღნიშვნას, რომ გადაზიდვა, მიუხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, მაინც ექვემდებარება ამ თავის ნორმებს

### 2.8.4 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ზედნადების რეკვიზიტები

**საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს:**

- სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვას
- ხარჯებს, რომლებსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს
- ტვირთის გაგზავნის დროს გადასახდელი ფასდანამატის ოდენობას
- ტვირთის ღირებულებას და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას
- გამგზავნის მითითებებს გადამზიდველის მიმართ ტვირთის დაზღვევის შესახებ
- შეთანხმებულ ვადას, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა
- გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალს

**მხარეებს შეუძლიათ ზედნადებში ჩაწერონ სხვა მონაცემებიც, რომლებსაც ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ**

### 2.8.5 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები

- თუ დანიშნულების ადგილზე ტვირთის მისვლის შემდეგ წარმოიშობა ტვირთის გადაცემის ხელშემშლელი გარემოებები, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს გამგზავნის მითითებები
- თუ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე, გამგზავნი უფლებამოსილია თვითონ განკარგოს ტვირთი ზედნადების პირველი პირის წარმოდგენის გარეშეც მიმღებს შეუძლია ტვირთის გადაცემა მოითხოვოს მაშინაც კი, როცა მან ტვირთის მიღებაზე უარი თქვა, ვიდრე გადამზიდველს გამგზავნისაგან არ მიუღია საწინააღმდეგო მითითებები

### 2.8.6 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

- თუ ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიღების წინ შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება ზედნადებში აღნიშნული პირობებით, გადამზიდველმა უნდა მოითხოვოს უფლებამოსილი პირის განკარგულება ტვირთის შესახებ
- თუ გარემოებები იძლევიან ზედნადებში მითითებული პირობებისაგან განსხვავებულად გადაზიდვის შესაძლებლობას და გადამზიდველს არ შეეძლო უფლებამოსილი პირის ტვირთის შესახებ მითითებათა მიღება სათანადო ვადის განმავლობაში, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც, უფლებამოსილი პირის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე საუკეთესოდ იქნება მიჩნეული

### 2.8.7 გადაზიდვის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობა, გირავნობის უფლება ტვირთზე

გადამზიდველს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ხარჯების გამო აქვს ტვირთზე გირავნობის უფლება, ვიდრე იგი უფლებამოსილია განკარგოს ეს ნივთი

## 2.9 გადამზიდველის პასუხისმგებლობა

გადამზიდველი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე - მიტანის ვადის გადაცილებისათვის გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის გადაცილება უფლებამოსილი პირის ბრალით ანდა ამავე პირის ისეთი მითითებით მოხდა, რომელზედაც გადამზიდველი პასუხს არ აგებს აგრეთვე, თუ ტვირთის ნაკლი ისეთი გარემოებებითაა გამოწვეული, რომელთა თავიდან აცილებაც გადამზიდველს არ შეეძლო და არც მათი შედეგები შეიძლებოდა თავიდან აეცილებინა

იმის მტკიცება, რომ ტვირთის დაკარგვა, დაზიანება ან მიტანის ვადის დარღვევა გამოიწვია აღნიშნულმა გარემოებებმა, ეკისრება გადამზიდველს. ***პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების მიზნით გადამზიდველს არ შეუძლია მიუთითოს არც გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლზე და არც ამ საშუალების გამქირავებლის ან დამქირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალზე***

გადამზიდველი კონკრეტული პირობების არსებობისას თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ტვირთის დაკარგვა ან დაზიანება ქვემოთ დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებული განსაკუთრებული საფრთხისგან წარმოიშვა, კერძოდ, როცა:

- გამოიყენება ღია, გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალება, თუ მისი გამოყენება პირდაპირ იყო შეთანხმებული და ზედნადებში აღნიშნული
- ტვირთი არ არის შეფუთული ან უხარისხოდაა შეფუთული რაც ტვირთის ხასიათიდან გამომდინარე, დაკარგვის ან დაზიანების საფრთხეს ქმნის
- ტვირთის დათვალიერება, დატვირთვა, დაწყობა ან გადმოტვირთვა ხდება გამგზავნის, მიმღების ან მათთვის მოქმედი მესამე პირის მიერ
- ცალკეული ტვირთების თავისებურებათა გამო მოსალოდნელია მათი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის ან დაზიანების, კერძოდ, დამტვრევის, დაჟანგვის, კოროზიის,გახმობის, დაღვრის, ნორმალური დანაკარგის ან მწერებისა და მღრღნელების ზემოქმედების საფრთხე
- გადასაზიდი ტვირთი არასაკმარისადაა აღნიშნული ან დანომრილი
- გადასაყვანია ცხოველები

### 2.9.1 გადამზიდველის ვალდებულება ტვირთის მიღებისას

გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის მიღებისას შეამოწმოს:

- ტვირთის ცალობრივი რაოდენობა, მათი ნიშნებისა და ნომრების შესახებ ზედნადებში აღნიშნულ მონაცემთა სისწორე
- ტვირთისა და მისი შეფუთვის გარეგნული მდგომარეობა

თუ გადამზიდველს არა აქვს სათანადო საშუალება იმისათვის, რომ შეამოწმოს აღნიშნული მონაცემები, მაშინ მას ზედნადებში შეაქვს პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს

გამგზავნს შეუძლია გადამზიდველს მოსთხოვოს, რომ გადამზიდველმა გადაამოწმოს ტვირთის წონა ან მისი სხვაგვარად მოცემული რაოდენობა

მას შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ გადამზიდველმა შეამოწმოს გადასაზიდი ტვირთის შემცველობა

გადამზიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ამ შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

გადამოწმების შედეგები უნდა აღინიშნოს ზედნადებში

### 2.9.2 ტვირთის მიტანის ვადის გადაცილება

ტვირთის მიტანის ვადის გადაცილებად ითვლება, როცა ტვირთი არ არის მიტანილი შეთანხმებულ ვადაში, ან, თუ ვადა არ იყო დათქმული, - გადასაზიდად საჭირო ჩვეულებრივ დროში - იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ნაწილ-ნაწილ დატვირთვისას ამ ნაწილების შესაკრებად აუცილებელი დროის განსაზღვრასთან, თუ დარღვეულია ვადა, რომელიც წინდახედულ გადამზიდველს უნდა დაეცვა ჩვეულებრივ შემთხვევებში

### 2.9.3 ტვირთის დაკარგვის პრეზუმფცია

უფლებამოსილ პირს შეუძლია დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენის გარეშეც ტვირთი ჩათვალოს დაკარგულად, თუ ტვირთი გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლიდან ოცდაათი დღის ვადაში არ იქნება მიტანილი დანიშნულების ადგილზე ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან სამოცი დღის შემდეგ

უფლებამოსილ პირს შეუძლია დაკარგული ტვირთის გამო ზიანის ანაზღაურებისას წერილობით მოითხოვოს, რომ მას დაუყოვნებლივ შეატყობინონ, თუ ზიანის ანაზღაურებიდან ერთი წლის განმავლობაში გამოჩნდება დაკარგული ტვირთი

ამ მოთხოვნაზე პასუხი ასევე წერილობით უნდა გაიცეს

უფლებამოსილ პირს შეუძლია ამგვარი შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი დღის ვადაში მოითხოვოს, რომ ტვირთი ჩაბარდეს მას ზედნადებიდან გამომდინარე უფლებების დაკმაყოფილების შემდეგ და მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების პირობით, საჭიროებისას - ზიანის ანაზღაურებისას წარმოშობილი ხარჯების გამოკლებით

თუ მოთხოვნა წარდგენილი არ იქნება, ან არ არის მითითება ოცდაათდღიანი ვადის გამო, ანდა ტვირთი ნაპოვნი იქნება გადახდიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, მაშინ გადამზიდველს შეუძლია ტვირთი განკარგოს იმ ადგილას მოქმედი წესების მიხედვით, სადაც ტვირთი იმყოფება

### 2.9.4 დანამატის მიღების მოთხოვნის უფლება

თუ მიმღებს ტვირთი ჩაბარდა იმ დანამატის გადაუხდელად, რომელიც გადამზიდველს უნდა მიეღო დანიშნულების ადგილზე ტვირთის მიტანის შემდეგ, მაშინ გადამზიდველს შეუძლია, რეგრესულ უფლებაზე მითითებით, გამგზავნს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება

### 2.9.5 საფრთხეშემცველი ტვირთის გაგზავნის წესი

თუ გამგზავნი გზავნის საფრთხეშემცველ ტვირთს, მაშინ იგი ვალდებულია გადამზიდველს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია და გააფრთხილოს ამ ტვირთის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი - დაზღვიოს ეს ტვირთი

საფრთხეშემცველი ტვირთი, რომლის საფრთხის შესახებაც პირველი ნაწილის მიხედვით გადამზიდველმა არაფერი იცოდა, გადამზიდველს შეუძლია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას გადმოცალოს, მოსპოს ან გააუვნებელყოს იგი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გარეშე

**გამგზავნი ასევე აგებს პასუხს ამ ტვირთის გადასაზიდად გადაცემით ან გადაზიდვებით გამოწვეული ზიანისა და ხარჯებისათვის**

### 2.9.6 ტვირთის ღირებულება ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისას

თუ გადამზიდველი ვალდებულია ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისათვის აანაზღაუროს ზიანი, მაშინ ზიანის ანაზღაურება გამოითვლება ტვირთის გადაცემის ადგილსა და დროს მოქმედი ტვირთის ფასის მიხედვით

ტვირთის ღირებულება განისაზღვრება საბირჟო ფასით, ხოლო ასეთი ფასის არარსებობისას - საბაზრო ფასით, თუკი არც ასეთი ფასი არსებობს, მაშინ - მსგავსი სახეობისა და ღირებულების ტვირთების ანალოგიურად

გადაზიდვის თანხა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული ხარჯები ტვირთის მთლიანად დაკარგვისას უნდა დაბრუნდეს მთლიანად, ხოლო ნაწილობრივ დაკარგვისას – ნაწილობრივ

## 2.10 გამგზავნის პასუხისმგებლობა

გამგზავნი პასუხს აგებს ყველა იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რომლებიც დადგა იმის გამო, რომ არასწორად ან არასრულყოფილად იქნა წარმოდგენილი:

- გამგზავნის სახელი და მისამართი
- ტვირთის გადაცემის დღე და ადგილი, ასევე ტვირთის მიტანის ადგილი
- მიმღების სახელი და მისამართი
- ტვირთის სახეობის ჩვეულებრივი სახელწოდება და შეფუთვის სახე, საფრთხეშემცველი ტვირთების დროს, მათ საყოველთაოდ აღიარებული აღნიშვნა
- გადასაზიდი ტვირთების რაოდენობა, ნიშნები და ნომრები
- ტვირთის წონა ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობა
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აღნიშვნა
- სხვა ტრანსპორტზე გადატვირთვის აკრძალვა
- ხარჯები, რომლებსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს
- ტვირთის გაგზავნის დრო გადასახდელი ფასდანამატის ოდენობა
- ტვირთის ღირებულება და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნა
- გამგზავნის მითითებები გადამზიდველის მიმართ ტვირთის დაზღვევის შესახებ
- შეთანხმებული ვადა, რომელშიც უნდა დასრულდეს გადაზიდვა
- გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების ჩამონათვალი
- ყველა სხვა მონაცემი ან გამგზავნის მითითებები ზედნადების შესადგენად ან მასში შესატანად

**თუ ჩამოთვლილ მონაცემებს გადამზიდველი გამგზავნის მოთხოვნის საფუძველზე ზედნადებში ჩაწერს, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ გადამზიდველი გამგზავნის სახელით მოქმედებდა**

### 2.10.1 გამგზავნის პასუხისმგებლობა ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის

გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე ტვირთის უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ზიანისათვის, რომელიც მიადგა პირებს, მასალებსა და სხვა ქონებას, ასევე უხარისხო შეფუთვით გამოწვეული ხარჯებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაკლი აშკარა იყო, ან ტვირთის მიღებისას გადამზიდველმა ამის შესახებ იცოდა და ამასთან დაკავშირებით რაიმე პირობა არ დაუთქვამს

### 2.10.2 გამგზავნის მიერ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

გამგზავნი ვალდებულია ზედნადებს დაურთოს ყველა საბუთი, რომლებიც აუცილებელია ტვირთის მიტანამდე საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესასრულებლად, ან ეს საბუთები გადასცეს გადამზიდველს და მიაწოდოს მას ყველა საჭირო ინფორმაცია

**გადამზიდველი არ არის ვალდებული შეამოწმოს,** არის თუ არა ეს საბუთები და ინფორმაცია სწორი და საკმარისი

გამგზავნი პასუხს აგებს გადამზიდველის წინაშე საბუთებისა და მონაცემების არასრულყოფილებითა და უზუსტობით გამოწვეული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს გადამზიდველის ბრალით მოხდა
გადამზიდველი პასუხს აგებს ზედნადებში აღნიშნული და მასზე დართული ან გადამზიდველისათვის გადაცემული საბუთების დაკარგვის ან მათი არასწორი გამოყენებისათვის
მას არ შეიძლება იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ვიდრე ტვირთის დაკარგვის დროს დადგებოდა

### 2.10.3 გამგზავნის უფლებები

გამგზავნი უფლებამოსილია განკარგოს ტვირთი, მოითხოვოს გადაზიდვის შეწყვეტა

მას ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ გადამზიდველმა არ შეცვალოს მიწოდების ადგილი ან ტვირთი, არ მისცეს იგი სხვა პირს, გარდა იმისა, რომელიც ზედნადებშია აღნიშნული

ეს უფლება ქარწყლდება მაშინვე, როცა ზედნადების მეორე პირი გადაეცემა ტვირთის მიმღებს

მიმღები განკარგვის უფლებას იძენს ზედნადების გაფორმებისთანავე, თუ გამგზავნმა ზედნადებში გააკეთა შესაბამისი აღნიშვნა

თუ მიმღებმა განკარგვის უფლების განხორციელებისას გასცა მითითება ტვირთის მიწოდების შესახებ მესამე პირისათვის, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, არ არის უფლებამოსილი დაასახელოს სხვა მიმღები

განკარგვის უფლების განხორციელება უნდა მოხდეს შემდეგი წესების დაცვით:

- *გამგზავნმა ან მიმღებმა, თუ მას თავისი განკარგვის უფლების განხორციელება სურს, უნდა წარმოადგინოს ზედნადების პირველი პირი, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს გადამზიდველისათვის მიცემული ახალი მითითებები, და მას აუნაზღაუროს ყველა ის ხარჯი და ზიანი, რომლებიც ამ მითითებათა შესრულების შედეგად წარმოიშვა*
- *მითითებათა შესრულება შესაძლებელი უნდა იყოს იმ მომენტში, როცა ისინი მიუვა იმ პირს,რომელმაც ეს მითითება უნდა შესრულოს, და არ შეიძლება, რომ იგი ხელს უშლიდეს გადამზიდველის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, და არც გამგზავნის ან მიმღების სხვა ტვირთს უნდა აყენებდეს ზიანს*
- *მითითებებმა არ უნდა გამოიწვიონ ტვირთის დანაწილება*

### 2.10.4 გამგზავნის მითითებათა საფუძველზე წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების უფლება

გადამზიდველს აქვს იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომლებიც მას წარმოეშობა მითითებების მიღების ან მათი შესრულების გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ხარჯები მისი ბრალით წარმოიშვა

ტვირთის გადაცემის ხელშეშლელი გარემოებებისა და ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობის დროს გადამზიდველს შეუძლია ტვირთი სასწრაფოდ გადმოტვირთოს უფლებამოსილი პირის ხარჯზე გადმოტვირთვის შემდეგ გადაზიდვა დასრულებულად ითვლება, ამის შემდეგ გადამზიდველმა ტვირთი უნდა შეინახოს უფლებამოსილი პირისათვის

გადამზიდველს შეუძლია ტვირთის შენახვა მიანდოს მესამე პირს, ასეთ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მესამე პირის შერჩევისათვის

ზედნადებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნა და ხარჯი ანაზღაურდება ტვირთის ღირებულებიდან

უფლებამოსილი პირის მითითების დალოდების გარეშე გადამზიდველს შეუძლია გაყიდოს ტვირთი, თუ საქონელი მალფუჭებადია, ან თუ ტვირთის მდგომარეობა ამართლებს ამგვარ მოქმედებას, ანდა როცა შენახვის ხარჯები აღემატება ტვირთის ღირებულებას, მას შეუძლია სხვა შემთხვევებშიც გაყიდოს ტვირთი, თუ განსაზღვრული დროის განმავლობაში იგი არ მიიღებს მითითებებს არც ერთი მხარისაგან

თუ ტვირთი გაიყიდა წესების მიხედვით, მაშინ თანხა ტვირთთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით უნდა გადაეცეს უფლებამოსილ პირს

თუ ეს ხარჯები შემოსავალზე მეტია, გადამზიდველს შეუძლია მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება

გაყიდვის წესი განისაზღვრება იმ ადგილის კანონებითა და ჩვეულებებით, სადაც იმყოფება ტვირთი

## 2.11 მიმღების უფლებები

ტვირთის გადაცემისათვის გათვალისწინებულ ადგილზე ტვირთის მიტანისთანავე მიმღები უფლებამოსილია გადამზიდველს მოსთხოვოს ტვირთის მიღების დადასტურებით ზედნადების მეორე პირის გადაცემა და ამით ტვირთი ჩაითვლება გადაცემულად

თუ აღმოჩნდება ტვირთის დანაკლისი, ან ტვირთი არ არის გათვალისწინებულ ვადაში მიტანილი, მიმღებს შეუძლია გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები საკუთარი სახელით გამოიყენოს გადამზიდველის წინააღმდეგ

## 2.12 ზიანის ანაზღაურება ტვირთის დაზიანებისას

ტვირთისდაზიანებისას გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს ის საზღაური, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება და რომელიც გამოითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით ტვირთის ღირებულების მიხედვით

ზიანის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც:

- უნდა გადახდილიყო ტვირთის მთლიანად დაკარგვისას, თუკი მთელი ტვირთი დაზიანების შედეგად მთლიანად გაუფასურდა
- უნდა გადახდილიყო ტვირთის გაუფასურებული ნაწილის დაკარგვისას, თუკი დაზიანების შედეგად გაუფასურდა ტვირთის მხოლოდ ერთი ნაწილი

## 2.13 განსაკუთრებული დაინტერესების აღნიშვნა ზედნადებში



გამგზავნს შეუძლია დათქმული დანამატის გადახდის საფუძველზე ზედნადებში აღნიშნოს თავისი განსაკუთრებული დაინტერესება ამ გადაზიდვით იმ შემთხვევებისათვის, როცა დაიკარგება ან დაზიანდება ტვირთი, ანდა გადაცილებული იქნება მისი ჩაბარების ვადა

თუ უკვე გამოხატულია განსაკუთრებული დაინტერესება მოცემული გადაზიდვით, ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მოთხოვილ იქნეს დამატებითი ზიანის ანაზღაურება დაინტერესებაში გამოხატული ოდენობით

## 2.14 პროცენტის მოთხოვნა უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე

ტვირთზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მისთვის უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურებაზე მოითხოვოს

**წლიური ხუთი პროცენტი**

პროცენტების ათვლა იწყება გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის წარდგენის დღიდან, ან, თუ რეკლამაცია არ იყო წარდგენილი, - სარჩელის შეტანის დღიდან

თუ ზიანის ანაზღაურება დადგენილია იმ ფულად ერთეულში, რომელიც არ მოქმედებს ქვეყანაში, და მოთხოვილია გადახდა, კურსი განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების გადახდის ადგილზე იმ დღეს მოქმედი კურსის შესაბამისად

## 2.15 არასახელშეკრულებო მოთხოვნები გადაზიდვებისას

თუ დანაკარგმა, დაზიანებამ ან ვადის გადაცილებამ შეიძლება მოქმედი წესების მიხედვით არასახელშეკრულებო მოთხოვნები გამოიწვიოს, მაშინ ამის საპასუხოდ გადამზიდველს შეუძლია მიუთითოს იმ წესებზე, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ, ან ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავენ, ანდა ზღუდავენ

თუ გამოყენებული იქნება არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოთხოვნები დანაკარგის, დაზიანებისა და ვადის გადაცილებისთვის ერთ-ერთი პირის მიმართ, მაშინ მას შეუძლია დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ მის პასუხისმგებლობას, ან განსაზღვრავენ ზიანის ანაზღაურების ოდენობას ანდა, ზღუდავენ მას

## 2.16 პასუხისმგებლობისაგან გადამზიდველის განთავისუფლების დაუშვებლობა

გადამზიდველს არ შეუძლია დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც მის პასუხისმგებლობას გამორიცხავენ ან ზღუდავენ, ანდა მტკიცების ტვირთისაგან ათავისუფლებენ მას, თუკი ზიანი გამოწვეულია მისი ბრალით

## 2.17 რეკლამაცია (პრეტენზია) და სარჩელი



თუ მიმღები მიიღებს ტვირთს ისე, რომ მის მდგომარეობას არ ამოწმებს გადამზიდველთან ერთად და არ უყენებს გადამზიდველს ზოგადი ხასიათის პრეტენზიას დანაკარგებისა და დაზიანების შესახებ, მაშინ საპირისპიროს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ მიმღებმა ტვირთი ჩაიბარა ზედნადებში მითითებულ მდგომარეობაში. პრეტენზია უნდა წარედგინოს ტვირთის ჩაბარების დღესვე, თუ საქმე ეხება გარეგნულად შესამჩნევ დანაკარგებსა და დაზიანებებს, ხოლო გარეგნულად შეუმჩნეველი დანაკარგებისა და დაზიანებების შემთხვევაში - ჩაბარებიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა

- ➢ თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს, პრეტენზია (მოთხოვნა) უნდა წარედგინოს წერილობით
- ➢ თუ მიმღებმა და გადამზიდველმა ერთად შეამოწმეს ტვირთის მდგომარეობა, შემოწმების შედეგების საპირისპირო მტკიცებულება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ საქმე ეხება გარეგნულად შეუმჩნეველ დანაკარგებსა და დაზიანებებს და მიმღები ჩაბარებიდან შვიდი დღის განმავლობაში არ წარადგენს წერილობით მოთხოვნებს

ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მიმღები ტვირთის ჩაბარებიდან ოცდაერთი დღის განმავლობაში გადამზიდველს წარუდგენს წერილობით მოთხოვნებს

## 2.18 გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა

გადაზიდვებიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადა არის ერთი წელი

განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს ვადა შეადგენს სამ წელს ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება:

- ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას - მისი გამოგზავნის დღიდან
- ტვირთის მთლიანად დაკარგვისას - გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს
- ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში - გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ

## 2.19 ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

ხანდაზმულობის ვადა ჩერდება წერილობითი რეკლამაციის საფუძველზე იმ დღისათვის, როცა გადამზიდველი უარყოფს რეკლამაციას და თანდართულ საბუთებს უკანვე აბრუნებს

თუ რეკლამაცია ნაწილობრივ იქნება აღიარებული, ხანდაზმულობის ვადა რეკლამაციის სადავო ნაწილისათვის კვლავ გრძელდება

რეკლამაციის მიღების ან მასზე პასუხის, ასევე საბუთების უკან დაბრუნების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც მათ ეყრდნობა

სხვა რეკლამაციები, რომლებიც იმავე საგანს ეხებიან, ვერ შეაჩერებენ ხანდაზმულობის ვადის დენას

## 2.20 გადაზიდვები ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ, პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვების შემთხვევაში

თუ გადაზიდვა ერთი ხელშეკრულებით ხორციელდება ერთმანეთის მიმდევარი სხვადასხვა გადამზიდველების მიერ, თითოეული მათგანი პასუხს აგებს მთლიანი გადაზიდვის განხორციელებისათვის

მეორე და ყოველი მომდევნო გადამზიდველი ტვირთისა და ზედნადების მიღების გზით ხდება ხელშეკრულების მხარე

### 2.20.1 სათანადო საბუთების გადაცემის ვალდებულება

გადამზიდველი, რომელიც წინა გადამზიდველისაგან იღებს ტვირთს, ვალდებულია გადასცეს ტვირთის მიღების დამადასტურებელი ვადამითითებული და მის მიერ ხელმოწერილი საბუთი

ზედნადების მეორე პირზე მან უნდა მიუთითოს თავისი სახელი და მისამართი საჭიროების შემთხვევაში ზედნადების მეორე პირში გადამზიდველს შეაქვს გათვალისწინებული პირობები და ტვირთის მიღების დადასტურება

### 2.20.2 ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველებისაგან

ტვირთის დაკარგვის, დაზიანების ან გადაზიდვის ვადის გადაცილების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, შეგებებული სარჩელის ან შეცილების წარდგენის გარდა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პირველი, ბოლო ან იმ გადამზიდველის მიმართ, რომლის მიერ გადაზიდვისას დაიკარგა, დაზიანდა ტვირთი, ან გადაცილებულ იქნა ტვირთის ჩაბარების ვადა

ერთი და იგივე სარჩელი შეიძლება წარედგინოს რამდენიმე გადამზიდველს

### 2.20.3 რეგრესის უფლება ზიანის ანაზღაურებისას

თუ გადამზიდველმა უკვე აანაზღაურა ზიანი, მას აქვს უკუმოთხოვნის უფლება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების გამომწვევმა გადამზიდველმა მარტომ უნდა აანაზღაუროს მის მიერ ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ ასანაზღაურებელი ზიანი
- თუ ტვირთის დაკარგვა ან მისი დაზიანება გამოწვეულია ორი ან რამდენიმე გადამზიდველის მიერ, თითოეულმა უნდა აანაზღაუროს პასუხისმგებლობის წილის შესაბამისი თანხა, თუკი ამის დადგენა შეუძლებელია, მაშინ თითოეული პასუხს აგებს მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად
- როცა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ გადამზიდველს უნდა დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, პროპორციის მიხედვით უნდა გადაიხადოს ყველა გადამზიდველმა

### 2.20.4 გადამზიდველის გადახდისუუნარობის შედეგები

თუ ერთ-ერთი გადამზიდველი გადახდისუუნაროა, მის მიერ გადასახდელი, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუხდელი თანხა ნაწილდება დანარჩენ გადამზიდველებს შორის მიღებულ გადაზიდვის საზღაურში მათი წილის პროპორციულად

### 2.20.5 კანონსაწინააღმდეგო შეთანხმების ბათილობა

ყოველი შეთანხმება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ შეესაბამება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ წესებს, ბათილია

ასეთი შეთანხმებების ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა დებულებათა ბათილობას

ბათილია ყოველი შეთანხმება, რომლითაც გადამზიდველი ტვირთის დაზღვევიდან წარმოშობილ მოთხოვნებს თმობს, და ყოველი სხვა მსგავსი შეთანხმება, რომლითაც მტკიცების ტვირთი სხვა პირზე იქნება გადატანილი

## 2.21 დავალება

დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე

მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში

რწმუნებული მოვალეა შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები

რწმუნებულს შეუძლია გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს, თუ, გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მარწმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას

რწმუნებული მოვალეა მითითებებისაგან გადახვევამდე შეატყობინოს მარწმუნებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუკი დაყოვნებით მარწმუნებელს არ შეექმნება ზიანის მიყენების საფრთხე

რწმუნებული მოვალეა მისცეს მარწმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია,ხოლო მისი მოთხოვნით - მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს მას ანგარიში

რწმუნებული მოვალეა არ გაახმაუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვითაც მარწმუნებელი მართლზომიერადაა დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების მოვალეობა, ან მარწმუნებელი ნებას არ დართავს რწმუნებულს გაამჟღავნოს იგი

ფაქტების გაუხმაურებლობის მოვალეობა არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობების დამთავრების შემდეგაც

## 2.22 სატრანსპორტო ექსპედიცია

ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი

შემკვეთი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული პროვიზია

ექსპედიციის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების წესები

ექსპედიტორმა კეთილსინდისიერი ექსპედიტორის გულისხმიერებით უნდა გაგზავნოს ტვირთი, შეარჩიოს გადაზიდვაში მონაწილე პირები, ამასთან, მან უნდა დაიცვას გამგზავნის ინტერესები და შეასრულოს მისი მითითებები

### 2.22.1 შემკვეთის მოვალეობანი

შემკვეთმა ექსპედიტორის მოთხოვნით დროულად უნდა მიაწოდოს მას შესაბამისი ცნობები ტვირთის შესახებ, აგრეთვე უნდა მისცეს მითითებები, რომლებიც აუცილებელია გადაზიდვის დოკუმენტების გასაფორმებლად, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებულ და სხვა მოქმედებათა შესასრულებლად და, აუცილებლობის შემთხვევაში, იმპორტის გადასახადის გადასახდელად

შემკვეთმა ექსპედიტორს უნდა გადასცეს აუცილებელი დოკუმენტები აღნიშნული ცნობების უტყუარობის დასადასტურებლად

საფრთხეშემცველი ტვირთის არსებობისას შემკვეთმა უნდა გააფრთხილოს ექსპედიტორი საფრთხის ზუსტი სახეობის შესახებ და, აუცილებლობის შემთხვევაში, მიუთითოს მას უსაფრთხოების ზომებზე

ტვირთი, რომლის საფრთხეშემცველობის შესახებ არ იცოდა ექსპედიტორმა, შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განადგურდეს ან გაუვნებელდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად

შემკვეთი ვალდებულია, თუ ამას მოითხოვს ტვირთის სახეობა, შეაფუთვინოს იგი გადაზიდვის მოთხოვნების შესაბამისად

თუ ტვირთის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელია განმასხვავებელი ნიშნები, მაშინ ისინი იმგვარად უნდა იქნეს დასმული, რომ ტვირთის მიტანამდე გარკვევით ჩანდეს

შემკვეთი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც ექსპედიტორს მიადგება მოვალეობათა შეუსრულებლობის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ექსპედიტორს არ გაუკეთებია შენიშვნა შეფუთვის ან განმასხვავებელი ნიშნის არარსებობის ან ნაკლის თაობაზე, თუმცა ეს ცხადი იყო, ან მას ჰქონდა ცნობები ამის შესახებ ტვირთის მიღებისას

### 2.22.2 ტვირთის ცალობრივი შემოწმება

შემკვეთს შეუძლია განსაკუთრებული გასამრჯელოს გადახდით მოსთხოვოს ექსპედიტორს ტვირთის ცალობრივი შემოწმება მისი მიღებისას

### 2.22.3 ტვირთის დაზღვევის მოვალეობა

ექსპედიტორს ეკისრება ტვირთის დაზღვევა მხოლოდ მაშინ, როცა ამის თაობაზე მიიღებს შემკვეთისაგან მითითებას

განსაკუთრებული მითითების არარსებობისას ექსპედიტორი მოვალეა დააზღვიოს ტვირთი მხოლოდ ჩვეულებრივი პირობებით

### 2.22.4 ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება

თუ შემკვეთი აშკარად არ გამოთქვამს უარს წერილობით, ექსპედიტორი მოვალეა შემკვეთის ხარჯზე დააზღვიოს ის ზიანი, რომელიც შეკვეთის შესრულებისას ექსპედიტორის მოქმედებით შემკვეთს შეიძლება მიადგეს

ექსპედიტორმა უნდა აცნობოს შემკვეთს, თუ ვისთან დადო ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულება

### 2.22.5 ზიანის დროულად შეტყობინების მოვალეობა

ექსპედიციის დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით დადებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთმა უნდა იზრუნოს ზიანის დროულად შეტყობინებისათვის

თუ ზიანის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ექსპედიტორს, მაშინ იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს შეტყობინება მზღვეველს ან მზღვეველებს

### 2.22.6 ტვირთის მიუღებლობის შედეგები

თუ დანიშნულების ადგილას მიმღები არ ჩაიბარებს ტვირთს, ან სხვა საფუძვლით შეუძლებელია ტვირთის მიღება, მაშინ ექსპედიტორის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება გადაზიდვის ხელშეკრულების წესებით

### 2.22.7 ტვირთის მდგომარეობის შემოწმების შეუძლებლობა მისი მიღებისას

თუ შეუძლებელია ტვირთის მდგომარეობის შემოწმება მხარეების თანდასწრებით, მაშინ, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ტვირთის მიღება ჩაითვლება იმის დასტურად, რომ ტვირთი მიღებულ იქნა დანაკლისისა და დაზიანების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმღები ტვირთის ჩამბარებელ პირს მიუთითებს ზიანის ზოგად ხასიათზე

თუ საქმე ეხება აშკარა დანაკლისს ან დაზიანებას, ამის შესახებ უნდა მიეთითოს ტვირთის მიღებისთანავე, ხოლო თუკი საქმე არ ეხება ასეთ დანაკლისს ან დაზიანებას, - ტვირთის მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა

### 2.22.8 ექსპედიტორის პასუხისმგებლობა

ექსპედიტორი ექსპედიციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობებისათვის, ჩვეულებრივ, მაშინ აგებს პასუხს, თუ მას ან მის დამხმარეს მიუძღვის რაიმე ბრალი

### 2.22.9 ექსპედიტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

ექსპედიტორი არ შეიძლება დაეყრდნოს იმ წესებს, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას, ან გადააქვთ მტკიცების ტვირთი, თუ მან ზიანი **განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით** მიაყენა

იგივე წესი მოქმედებს დამხმარის არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მიმართაც, თუ მას შეერაცხა ბრალი

### 2.22.10 პროვიზიის გადახდის წესი

პროვიზია გადახდილ უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც ექსპედიტორი გადასცემს ტვირთს სატრანსპორტო ორგანიზაციას

# სეგმენტი: 3 სავაჭრო სამართალი

მენეჯერი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის ცოდნასა და უნარებს ტვირთების გადაზიდვის სფეროში:

- უნდა იცნობდეს აღნიშნულ სფეროში მოქმედ პირობებსა და ფორმალობებს, საავტომობილო გადაზიდვების ოპერატორებზე დაკისრებულ ვალდებულებებსა (რეგისტრაცია, საქმის წარმოება და ა.შ.) და გადახდისუუნარობის შედეგებს
- უნდა ჰქონდეს სათანადო ცოდნა კომერციული საწარმოების სხვადასხვა ფორმების, ასევე მათი სტრუქტურისა და ფუნქციონირების წესების შესახებ

## 3.1. სამეწარმეო საქმიანობა

სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად

## 3.2. მეწარმე სუბიექტები




- ინდივიდუალური მეწარმე
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
- კომანდიტური საზოგადოება (კს)
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)
- კოოპერატივი

### 3.2.1 ინდივიდუალური მეწარმე

ინდივიდუალური მეწარმე, როგორც უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან
თუ რეგისტრაციამდე მეწარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და საწარმოს დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, ამ მოქმედებიდან წარმოშობილი ყველა ვალდებულებისათვის
ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის შემდეგაც

**არ არის იურიდიული პირი**

ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს

**როგორც ფიზიკური პირი**

ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე

**პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით**

**ინდივიდუალური მეწარმის იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა**

### 3.2.2 სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)

არის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმო (კომპანია). საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ

### 3.2.3 კომანდიტური საზოგადოება (კს)

რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები)

### 3.2.4 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად

### 3.2.5 სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით

### 3.2.6 კოოპერატივი

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე

## 3.3. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია

**მეწარმე სუბიექტის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია სავალდებულოა**

<u>მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი</u>

***<u>საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო</u>***

მეწარმე სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე

მეწარმე სუბიექტი რეგისტრირდება მის მიერ განცხადებული მისამართის მიხედვით. დაინტერესებულმა პირმა იურიდიულ მისამართად უნდა მიუთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მისამართი, რომელზედაც შესაძლებელი იქნება წერილობითი შეტყობინების (კორესპონდენციის) გაგზავნა. რეგისტრირებულ მისამართზე გაგზავნის შემდეგ წერილობითი შეტყობინება (კორესპონდენცია) ითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად (კორესპონდენციად)

## 3.4. მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელშიც უნდა მიეთითოს:

- საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება
- საწარმოს სამართლებრივი ფორმა
- საწარმოს იურიდიული მისამართი
- საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ
- საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ

## 3.5. პასუხისმგებლობა, შესატანი, ინფორმაციის მიღებისა და კონტროლის უფლებები

- ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის
- კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ
- კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს

**პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა**

**ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი**

**სპს-ის, კს-ის, შპს-ის, სს-ის და კოოპერატივის პარტნიორებს თანაბარ პირობებში თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ, კანონით ან წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი**

**წესდებით შესაძლებელია მათ მიერ შეტანილი შენატანებისაგან დამოუკიდებლად განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები**

## 3.6. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია

- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს დაინტერესებულ პირს
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან შედგენილი გარიგება
- საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება გულისხმობს საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუუნარობის, გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოების დაწყებისა და შეწყვეტის, ლიკვიდატორის, მეურვის, რეაბილიტაციის მმართველის ან გაკოტრების მმართველის, ასევე სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ასახვას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში

## 3.7. საწარმოს რედომიცილება

- შესაძლებელია უცხო ქვეყნის საწარმოს რეგისტრაციის საქართველოში გადმოტანა (რედომიცილება) საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად
- საქართველოში რედომიცილებული საწარმო შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით
- საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს უფლება აქვს, გადაიტანოს რეგისტრაცია უცხო ქვეყანაში საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაურღვევლად, შემდეგი პირობების არსებობისას:
  - ამ ქვეყანასთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით არ არის აკრძალული საწარმოს რედომიცილება
  - საწარმოს წინააღმდეგ საქართველოში არ მიმდინარეობს სასამართლო დავა ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება
  - საწარმოს რედომიცილების დროისათვის საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიმართ არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება

## 3.8. საწარმოს ფილიალი

საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალი, რომელიც არ არის იურიდიული პირი საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება

უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) საქართველოში დაარსების შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული, საწარმოს გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ ან მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული მონაცემები საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის შესახებ

## 3.9. საფირმო სახელწოდება

- საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს მეწარმე სუბიექტი;
- ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს „სპს"-ის დამატებით კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი სრული პარტნიორის სახელს „კს"-ის დამატებით თუ სპს-ში ან კს-ში გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები, მისი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას
- პარტნიორის სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეუძლია საფირმო სახელწოდება შეარჩიოს თავისი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან შეიძლება ეს სახელწოდება იყოს ფანტაზიის ნაყოფი

საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს: სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „სააქციო საზოგადოება" ან „სს"; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება" ან „შპს"; კოოპერატივის შემთხვევაში – დამატებას „რეგისტრირებული კოოპერატივი" ან „რკ"

## 3.10. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის საჯაროობა

- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აღრიცხული მონაცემები საჯაროა
- ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებს და მარეგისტრირებელი ორგანოდან მიიღოს ამ რეესტრიდან ამონაწერი

## 3.11. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

**ხელმძღვანელობის უფლება აქვთ:**

- **სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს**
- **კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს) კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს**
- **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის** გათვალისწინებული

**ხელმძღვანელობის უფლებამოსილება** - *გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას*

**წარმომადგენლობითი უფლებამოსილება** - *გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში*

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

## 3.12. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების უფლებამოსილება

ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირებსა და ინდივიდუალურ მეწარმეს შეუძლიათ წერილობით მისცენ მინდობილობა ამა თუ იმ პირს მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი –ორივე ან ყველა ერთად წარმოადგენენ საწარმოს (საერთო მინდობილობა)

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება იურიდიულ მოქმედებათა განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს მინდობილობის შინაარსს მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია მისი გაუქმება ან ძალადაკარგულად აღიარება

*გენერალური სავაჭრო მინდობილობის მფლობელი პირი (პროკურისტი) რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში*

*პროკურა იძლევა უფლებამოსილებას, სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში განხორციელდეს ყველა საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან*

## 3.13. იურიდიული პირის ლიკვიდაცია სასამართლო განაჩენის საფუძველზე

**იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი**

**სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება**

## 3.14. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

- რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი გაუქმება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად ან საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით
- მარეგისტრირებელი ორგანოს მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმებით უქმდება რეორგანიზაციის საფუძველზე წარმოშობილი მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია, გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებით აღდგება რეორგანიზაციამდე არსებული მდგომარეობა, ხოლო გაუქმებული მეწარმე სუბიექტის უფლებამონაცვლე იქნება რეორგანიზაციამდე არსებული მეწარმე სუბიექტი

**ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში მისი უფლებამონაცვლეა შესაბამისი ფიზიკური პირი**

## 3.15. საწარმოს რეორგანიზაცია

საწარმოს რეორგანიზაციის სახეებია:

- გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება)
- შერწყმა (გაერთიანება, მიერთება)
- გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა)

## 3.16. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება

გადახდისუუნარობა – მოვალის უუნარობა, დააკმაყოფილოს კრედიტორის ვადამოსული მოთხოვნა

## 3.17. გაკოტრება

- გაკოტრების საქმის წარმოება იწყება მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად სასამართლოს მიერ გაკოტრების შესახებ გამოტანილი განჩინების გამოქვეყნებიდან
- გაკოტრების საქმის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას
- გაკოტრების პროცესში საწარმოს მართვასა და წარმომადგენლობას ახორციელებს გაკოტრების მმართველი

# სეგმენტი: 4 სოციალური სამართალი

- მენეჯერი უნდა იცნობდეს ტვირთების გადაზიდვის სფეროში საავტომობილო ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური დაწესებულებების (პროფკავშირები, შრომითი საბჭოები, პროფკავშირების წარმომადგენლები, შრომის ინსპექტორები და ა.შ.) როლსა და ფუნქციებს
- მენეჯერმა უნდა იცოდეს დამსაქმებლის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები და სატრანსპორტო საწარმოების მიერ სხვადასხვა კატეგორიის დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მარეგულირებელ წესები (ხელშეკრულების ფორმა, მხარეების ვალდებულებები, სამუშაო პირობები და საათები, ანაზღაურებადი შვებულება, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.)

## 4.1. შრომითი ურთიერთობა

*შრომითი ურთიერთობა არის **შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში** დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის **სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ***

*შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა **მხარეთა თანასწორუფლებიანობის** საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით*

## 4.2. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები

**შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან**

*დამსაქმებელი*

**დამსაქმებელთა გაერთიანება**

*დასაქმებული*

*დასაქმებულთა გაერთიანება*

**დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო**

*დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს*

*ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული*

## 4.3. შრომითი ურთიერთობის წარმოშობისას სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობა

***ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან***

*16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი **კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით**, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება **არასრულწლოვნის ინტერესებს**, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას*

## 4.4. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე

***დამსაქმებელი უფლებამოსილია:***

მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად

დამსაქმებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია **არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის კანდიდატის თანხმობის გარეშე**, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა

***კანდიდატი ვალდებულია:***

დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს

**დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე**

***დამსაქმებელი ვალდებულია კანდიდატს მიაწოდოს ინფორმაცია:***

- შესასრულებელი სამუშაოს შესახებ
- შრომითი ხელშეკრულების ფორმის (წერილობითი ან ზეპირი) და ვადის (განსაზღვრული ან განუსაზღვრელი) შესახებ
- შრომის პირობების შესახებ
- შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- შრომის ანაზღაურების შესახებ

## 4.5. შრომითი ხელშეკრულების დადება

**წერილობითი ან ზეპირი ფორმით**

**განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით**

**შრომითი ხელშეკრულება** იდება აუცილებლად **წერილობითი ფორმით**, თუ **შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე** მეტ ხანს გრძელდება

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **შრომითი ხელშეკრულების** ვადაა 1 წელი ან მეტი, **შრომითი ხელშეკრულება** **განსაზღვრული** ვადით იდება მხოლოდ მაშინ, როცა:

- **შესასრულებელია** კონკრეტული მოცულობის სამუშაო
- **შესასრულებელია** სეზონური სამუშაო
- **სამუშაოს** მოცულობა დროებით იზრდება
- **ხდება** შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება
- **არსებობს** სხვა **ობიექტური** გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების **განსაზღვრული** ვადით დადებას

**წერილობითი შრომითი ხელშეკრულება** იდება **მხარეთათვის** გასაგებ ენაზე

**წერილობითი** შრომითი ხელშეკრულება **შეიძლება** დაიდოს **რამდენიმე ენაზე**

იგი **უნდა** შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ **რომელ ენაზე** დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება **უპირატესობა** ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში

**შრომითი ხელშეკრულების** *არსებითი* **პირობებია:**

- *მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა*
- *სამუშაო დრო და დასვენების დრო*
- *სამუშაო ადგილი*
- *თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე*
- *შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი*
- *ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი*
- *ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი*

### 4.6. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული

### 4.7. შრომითი ხელშეკრულების დადების შეზღუდვა შეთავსებით სამუშაოზე და გამოსაცდელი ვადა

შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება




შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, დასაქმებულთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით **არაუმეტეს 6 თვისა**

*შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით იდება მხოლოდ წერილობითი ფორმით*

### 4.8. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა

*დასაქმებული ვალდებულია **სამუშაო პირადად შეასრულოს***

*შრომითი **ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა** შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით*

შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად არ მიიჩნევა:

- დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით დასაქმებულის საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არაუმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს
- სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არაუმეტეს 90 წუთით

## 4.9. მივლინება

*მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე*

**დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს**

**დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები**

## 4.10. შრომის შინაგანაწესი

**დამსაქმებელს უფლება აქვს, დაადგინოს შრომის შინაგანაწესი და ვალდებულია გააცნოს ის დასაქმებულს**

შრომის შინაგანაწესი არის **წერილობითი დოკუმენტი**, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

- სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა
- დასვენების ხანგრძლივობა
- შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი
- ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი
- ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი
- შრომის პირობების დაცვის წესები
- წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი

## 4.11. სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო

*დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს*

***კვირაში 40 საათს**, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს – **კვირაში 48 საათს***

***სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა***

*სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო*

*სამუშაოს პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო*

***დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება***

*დასაქმებული ვალდებულია*

*შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო*

- *სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე;*
- *საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით*

***ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით***

*ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით*

უქმე დღეებია:

- 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
- 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე
- 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე
- 3 მარტი – დედის დღე
- 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე
- 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე
- სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია)
- 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე
- 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე
- 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
- 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა)
- 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე
- 23 ნოემბერი – გიორგობის დღე

## 4.12. შვებულება

*დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში **სულ მცირე 24 სამუშაო დღით***

*დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში **სულ მცირე 15 კალენდარული დღით***

*შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს განსხვავებული ვადები და პირობები, **რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას***

*დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის*

***თერთმეტი თვის შემდეგ***

*დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც*

მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება **მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს**

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო

## 4.13. შრომის ანაზღაურება

*შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით*

***შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ***

## 4.14. შრომის პირობების დაცვა

*დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი*

**დამსაქმებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე**

## 4.15. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

შრომითი ურთიერთობის **შეჩერება** არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას

**შრომითი ურთიერთობის**

**შეჩერების საფუძვლებია:**

- გაფიცვა
- ლოკაუტი
- აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება
- საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება

- სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა
- სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა
- შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო

- დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს
- კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს
- ანაზღაურების გარეშე შვებულება
- ანაზღაურებადი შვებულება

შრომითი ხელშეკრულების **შეწყვეტის** საფუძვლებია:

- ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას
- შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება
- დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება
- მხარეთა წერილობითი შეთანხმება
- დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან
- დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების **უხეში დარღვევა**
- დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული **ვალდებულების დარღვევა**
- თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხანგრძლივი შრომისუუნარობა**
- სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც **სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს**
- სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება **გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ**
- დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის **გარდაცვალება**
- დამსაქმებელი იურიდიული პირის **ლიკვიდაციის წარმოების დაწყება**
- **სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას**

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია არანაკლებ

**30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით**

ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია **არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების** ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების **შეწყვეტიდან 30 კალენდარული** დღის ვადაში

**დამსაქმებელი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული** დღით ადრე **გააფრთხილოს** დასაქმებული **წინასწარი** **წერილობითი** შეტყობინების **გაგზავნით**

ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია **არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით,** შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში

## 4.16. გაერთიანების თავისუფლება

*დასაქმებულსა და დამსაქმებელს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე შექმნან გაერთიანება ან/და გაწევრდნენ სხვა გაერთიანებაში*

*დამსაქმებელთა გაერთიანებას და დასაქმებულთა გაერთიანებას უფლება აქვთ, შეიმუშაონ საკუთარი წესდება და* ***რეგლამენტი, შექმნან მართვის ორგანოები, აირჩიონ წარმომადგენლები და წარმართონ თავიანთი საქმიანობა***

### 4.16.1. პროფესიული კავშირების, პროფესიული კავშირების გაერთიანებების (ასოციაციების) შექმნის უფლება

*პროფესიული კავშირი არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით შექმნილი* ***არასამეწარმეო*** *(არაკომერციული) ოურიდიული პირი, საქმიანობის მიხედვით – საერთო* ***სანარმოო,*** *პროფესიული ინტერესებით დაკავშირებულ პირთა (მუშაკთა) ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება (ორგანიზაცია), რომლის მიზანია თავისი წევრების* ***შრომითი,*** *სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და* ***წარმომადგენლობა***



### 4.16.2. პროფესიული კავშირის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

*პროფესიული კავშირი, პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით პროფესიული კავშირების შესახებ, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით და საკუთარი წესდებით*

*თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, დადგენილია განსხვავებული წესები, გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით დადგენილი წესები*

### 4.16.3. პროფესიული კავშირის წესდება, მისი რეგისტრაცია, იურიდიული პირის სტატუსი

*პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს, წევრად მიღებისა და გასვლის წესს, წევრთა უფლება-მოვალეობებს, სტრუქტურას, უმაღლესი და ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენციასა და უფლებამოსილების ვადებს, შემოსავლისა და ქონების შექმნის წყაროებსა და გამოყენების წესს, წესდებაში ცვლილებების შეტანის პირობებს, საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებს, სახელწოდებას, ადგილსამყოფელსა და სამოქმედო ტერიტორიას, აგრეთვე მათთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს განსაზღვრავს მათი*

*წესდებები კანონმდებლობის შესაბამისად*

### 4.16.4. პროფესიული კავშირის ძირითადი უფლებები

- სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებისა და ინტერესების დაცვა
- შრომითი შესაძლებლობები, აირჩიონ პროფესია, სამართლიანი ანაზღაურება
- სოციალური დაცვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში
- აწარმოონ მოლაპარაკება დამსაქმებლის, დამსაქმებელთა გაერთიანების (ასოციაციის), აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილ წარმომადგენლებთან
- დებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და აკონტროლებენ მათ შესრულებას
- შრომითი დავის განხილვა და გადაწყვეტა

**პროფესიულ კავშირს,შრომითი კოლექტივის რწმუნებით, უფლება აქვს ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში შექმნილ სახელმწიფო საკუთრების საპრივატიზაციო კომისიებში**

**კანონმდებლობის შესაბამისად**

**პროფესიულ კავშირს მუშაკთა, აქციონერთა, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეუძლია ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები საწარმოს მმართველობის კოლეგიალურ ორგანოში (სამეთვალყურეო სხეულში, საკონსულტაციო სხეულში და სხვა) კანონმდებლობის შესაბამისად**

პროფესიულ კავშირს უფლება აქვს:

- პროფკავშირის წევრების შრომითი უფლებების დასაცავად, კანონმდებლობის შესაბამისად, წარადგინოს სარჩელი, შეიტანოს განცხადება და გამოვიდეს სასამართლოში ან შრომითი დავის განმხილველ სხვა ორგანოებში
- გაუწიოს პროფკავშირის წევრებს სამართლებრივი დახმარება
- შეიქმნას იურიდიული განყოფილებები და კონსულტაციები თავისი სტრუქტურების ფარგლებში

### 4.16.5. პროფესიული კავშირების უფლებათა გარანტიები

- პროფესიული კავშირი, პროფესიული კავშირების გაერთიანება (ასოციაცია) საკუთარი წესდების შესაბამისად ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მათ მიერ შექმნილ ქონებას და ფულად სახსრებს
- პროფესიული კავშირის ქონება და ფულადი სახსრები ხელშეუხებელია
- არავის არა აქვს უფლება განკარგოს, ჩამოართვას ან გადასცეს მისი ქონება და ფულადი სახსრები შესაბამისი პროფესიული კავშირის წესდებით გათვალისწინებული კოლეგიალური (არჩევითი) ორგანოს თანხმობის გარეშე

### 4.16.6. პროფესიული კავშირის უფლებათა დაცვა და პასუხისმგებლობა

სახელმწიფო უზრუნველყოფს პროფესიული კავშირის უფლებათა დაცვას კანონმდებლობის შესაბამისად

საქმეს პროფესიული კავშირისათვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული

უფლებების დარღვევის შესახებ განიხილავს სასამართლო

პროფესიულ კავშირს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას (ასოციაციას), პროფკავშირის კომიტეტს, პროფკავშირის წევრს უფლება აქვთ, კანონმდებლობის შესაბამისად, დასვან საკითხი ან შეიტანონ სარჩელი (საჩივარი) სასამართლოში იმ თანამდებობის პირთა პასუხიმგებლობის შესახებ, რომლებიც არღვევენ ამ კანონს, პროფესიული კავშირების შესახებ სხვა სამართლებრივ და ნორმატიულ აქტებს, არ ასრულებენ გენერალური, დარგობრივი (სატარიფო) შეთანხმებებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს

## 4.17. დისკრიმინაციის აკრძალვა

*შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია* **რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო**

აკრძალულია დასაქმებულის დისკრიმინაცია დასაქმებულთა გაერთიანებაში მისი წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო ან/და სხვა ქმედება, რომლის მიზანია:

- დასაქმებულის სამუშაოზე მიღება ან მისთვის სამუშაოს შენარჩუნება დასაქმებულთა გაერთიანებაში განწვრებაზე უარის თქმის ან ასეთი გაერთიანებიდან გამოსვლის სანაცვლოდ
- დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ან მისი სხვაგვარად შევიწროება დასაქმებულთა გაერთიანების წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო

## 4.18. დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების საქმიანობაში ჩარევის აკრძალვა

დაუშვებელია დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებების, მათი წევრების ან წარმომადგენლების მიერ ერთმანეთის საქმიანობაში ნებისმიერი ფორმით ჩარევა

გაერთიანების საქმიანობაში ჩარევა გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანია გაერთიანების საქმიანობისათვის ფინანსური ან სხვა საშუალებებით ხელის შეშლა მასზე კონტროლის განსახორციელებლად

## 4.19. კოლექტიური შრომითი ურთიერთობა

კოლექტიური ხელშეკრულება იდება ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან ერთ ან მეტ დამსაქმებელთა გაერთიანებას და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის

| | |
|---|---|
| | კოლექტიური ხელშეკრულება:<br>➢ განსაზღვრავს შრომის პირობებს<br>➢ აწესრიგებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას<br>➢ აწესრიგებს ერთ ან მეტ დამსაქმებელს ან ერთ ან მეტ დამსაქმებელთა გაერთიანებას და ერთ ან მეტ დასაქმებულთა გაერთიანებას შორის ურთიერთობას |

## 4.20. პასუხისმგებლობა და დავა

შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წერილობითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს **დასაქმებულის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახე და ფარგლები,** თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან

**დავა არის შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი უთანხმოება, რომლის გადაწყვეტაც შედის შრომითი ხელშეკრულების მხარეთა კანონიერ ინტერესებში.** დავა წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით უთანხმოების შესახებ

შრომითი ურთიერთობის დროს დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს:

- ➢ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა
- ➢ ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების ან კოლექტიური ხელშეკრულების ან შრომის პირობების დარღვევა
- ➢ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებთან ან/და კოლექტიური ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული უთანხმოება

## 4.21. გაფიცვა და ლოკაუტი

| | |
|---|---|
| | გაფიცვა არის დავის შემთხვევაში დასაქმებულის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე გაფიცვაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირებს |
| | ლოკაუტი არის დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე |
| | თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას ან მესამე პირის საკუთრებას, აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახურის საქმიანობას, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის ან ლოკაუტის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო დაწყებული გაფიცვა ან ლოკაუტი შეაჩეროს ამავე ვადით |

4.22. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის დირექტივა 2006/22/EC ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქმიანობასთან დაკავშირებულ სოციალურ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესახებ.

4.23. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 11 მარტის დირექტივა 2002/15/EC საავტომობილო გადაზიდვების მწარმოებელი პირების სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ.

4.24. მძღოლების პირველადი მომზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების განმსაზღვრელი წესების, კერძოდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/59/EC დირექტივიდან გამომდინარე წესები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16.
ტელ: 2 36 55 01
WWW.LTA.GOV.GE